



უშიშროების საბჭო

გავრცელება: ზოგადი
2018 წლის 6 ივნისი

არაოფიციალური თარგმანი

რეზოლუცია № 2419 (2018)

მიღებულია უშიშროების საბჭოს მიერ 8277-ე სხდომაზე
2018 წლის 6 ივნისს

უშიშროების საბჭო,

„ადასტურებს რა თავის ერთგულებას № 2250 (2015) რეზოლუციის სრულად განხორციელების მიმართ,

„ეყრდნობა რა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოება საკითხებზე თავის №№ 1325 (2000), 1820 (2008), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013), 2122 (2013) და 2242 (2015) რეზოლუციებს და თავისი თავმჯომარის ყველა შესაბამის განცხადებას,

„ასევე, ეყრდნობა რა თავის რეზოლუციებს ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მათ შორის №№ 2178 (2014), 2195 (2014), 2354 (2017), 2395 (2017) და 2396 (2017) რეზოლუციებს და თავისი პრეზიდენტის S/PRST/2015/11 განცხადებას,

„ეყრდნობა რა თავის №№ 1265 (1999) და 1894 (2009) რეზოლუციებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ,

„ეყრდნობა რა თავის №№ 1645 (2005), 2282 (2016) და 2413 (2018) რეზოლუციებს მშვიდობის დამყარების შესახებ და თავისი პრეზიდენტის S/PRST/2012/29 და S/PRST/2015/2 განცხადებებს კონფლიქტის შემდგომ პერიოდში მშვიდობის დამყარების შესახებ,

„აღნიშნავს რა, რომ ტერმინი „ახალგაზრდები“ წინამდებარე რეზოლუციის კონტექსტში განისაზღვრება, როგორც 18-29 წლის ასაკის პირები, ამას გარდა,

აღნიშნავს რა ამ ტერმინის ვარიანტებს, რომლებიც შეიძლება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე არსებობდეს, მათ შორის „ახალგაზრდების“ განმარტებას, რომელიც გენერალური ასამბლეის №№ 50/81 და 56/117 რეზოლუციებშია მოცემული,

„ითვალისწინებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს და უშიშროების საბჭოს წესდებით გათვალისწინებულ უპირველეს პასუხისმგებლობას — ხელი შეუწყოს საერთაშორისო მასშტაბით მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას,

„კიდევ ერთხელ ადასტურებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნარის — საზარელი ომებისგან მომავალი თაობების გადარჩენის შესახებ თავისი ძირეული გადაწყვეტილების განხორციელების — ხელშეწყობის მნიშვნელობას და აქცენტს აკეთებს რა პრევენციულ დიპლომატიაზე, მედიაციასა და თანადგომაზე, მშვიდობის დამყარებაზე, მშენებლობასა და შენარჩუნებაზე;

„კიდევ ერთხელ ადასტურებს რა იმ მნიშვნელოვან და პოზიტიურ წვლილს, რომლის შეტანაც ახალგაზრდებს მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და ხელშეწყობის ძალისხმევაში შეუძლიათ,

„კიდევ ერთხელ ადასტურებს რა იმ მნიშვნელოვან როლს, რომლის შესრულება ახალგაზრდებს კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებაში, მდგრადი განვითარების ძირითადი ასპექტის — მშვიდობის დამყარებისა და მშვიდობის შენარჩუნების პროცესის ინკლუზიურობასა და წარმატებაში შეუძლიათ,

„კიდევ ერთხელ ადასტურებს რა მშვიდობის დამყარების მცდელობებში თავად ქვეყნების პასუხისმგებლობისა და ხელმძღვანელობის მნიშვნელობას, როდესაც მშვიდობის შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობას მთავრობასთან ერთად ქვეყნის ყველა სხვა დაინტერესებული მხარე იწილებს,

„კიდევ ერთხელ ადასტურებს რა ქვეყნების მთავრობათა და ხელისუფლებათა უმთავრეს პასუხისმგებლობას მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების თვალსაზრისით პრიორიტეტების, სტრატეგიებისა და საქმიანობის დადგენაში, ხელშეწყობასა და ხელმძღვანელობაში და ხაზს უსვამს რა, რომ ინკლუზიურობა, მათ შორის ახალგაზრდების სრული და ქმედითი მონაწილეობის უზრუნველყოფა, მიუხედავად ნებისმიერი ისეთი სახის განსხვავებისა, როგორებიცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადებისა თუ სხვა სტატუსი, არსებით პირობას წარმოადგენს, რათა წარმატებით განხორციელდეს

ქვეყნის სამშვიდობო პროცესები და მიზნები, გათვალისწინებული იყოს საზოგადოების ყველა სეგმენტის საჭიროებები,

„აღიარებს რა სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის თემების, ახალგაზრდების, კერძო სექტორის, სამეცნიერო წრეების, ექსპერტთა ჯგუფების, მედიის, ქალების, კულტურული, საგანმანათლებლო და რელიგიური ლიდერების როლს ტერორიზმის საფრთხეებისა და ამ საფრთხეებთან უფრო ეფექტიანად ბრძოლის შესახებ ფართო საზოგადოების ცოდნის ამაღლებაში,

„ხაზს უსვამს რა მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების მიმართ ყოველმხრივი მიდგომის მნიშვნელობას, განსაკუთრებით კონფლიქტის პრევენციასა და კონფლიქტის ყველა ეტაპზე მისი ძირითადი მიზეზების აღმოფხვრას,

„აღიარებს რა მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელებისას კომპლექსური მიდგომის მნიშვნელოვან წვლილს,

„გამოხატავს რა შეშფოთებას გლობალიზებულ საზოგადოებაში ტერორისტებისა და მათი მხარდამჭერების მიერ ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კერძოდ, ინტერნეტის გამოყენების გაფართოებით ახალგაზრდების მიზიდვისა და ტერორისტული აქტების ჩადენისკენ მათი წაქეზების, საქმიანობის დაფინანსების, დაგეგმვისა და მომზადების მიზნით და ხაზს უსვამს რა საჭიროებას, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ითანამშრომლონ, რათა ხელი შეუშალონ ტერორისტებს ტერორისტული აქტების ჩადენის წასაქეზებლად ტექნოლოგიების, საკომუნიკაციო საშუალებებისა და რესურსების გამოყენებაში და, ამავე დროს, დაიცვან ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესაბამისად,

„აღიარებს რა ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლებიც მათ განსაკუთრებული რისკის ქვეშ აყენებს, მათ შორის გენდერულ უთანასწორობას, რომელიც ხელს უწყობს დისკრიმინაციისა და ძალადობის ყველა ფორმის არსებობას, ასევე მუდმივ უთანასწორობას, რომელიც ახალგაზრდა ქალებს განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის და, შესაბამისად, კიდევ ერთხელ ადასტურებს რა თავის ერთგულებას ქალების გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის დამყარებისადმი

„აღიარებს რა სპორტისა და კულტურის მზარდ როლს განვითარებისა და მშვიდობის დამყარებაში, ვინაიდან სპორტი და კულტურა ხელს უწყობენ შემწყნარებლობისა და პატივისცემის დამკვიდრებას, ახალგაზრდებისა და ქალების,

ცალკეული ადამიანებისა და თემების გაძლიერებას, ასევე, ჯანმრთელობის, განათლებისა და სოციალური ერთობის მიზნების მიღწევას,

„*კიდევ ერთხელ ადასტურებს* რა განათლების უფლებას და მის როლს მშვიდობისა და უშიშროების მიღწევაში და აღიარებს, რომ საყოველთაო და ინკლუზიურ განათლებასა და პროფესიულ მომზადებაში ინვესტირება ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინვესტიციაა, რომლის განხორციელება სახელმწიფოებს ახალგაზრდების მყისიერი და გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი განვითარების უზრუნველსაყოფად შეუძლიათ; კიდევ ერთხელ აღნიშნავს რა, რომ ინკლუზიურ, თანასწორ და ხარისხიან ოფიციალურ და არაოფიციალურ განათლებაზე წვდომა ის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ახალგაზრდებს საჭირო უნარ-ჩვევების შეძენისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას აძლევს,

„1. *საგანგებოდ აღნიშნავს* ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე დამოუკიდებელ კვლევას, „ნაწილი, რომელიც გვაკლია“, რომელიც დამოუკიდებელმა ავტორმა და ექსპერტთა საკონსულტაციო ჯგუფმა წარმოადგინა;

„2. *მოუწოდებს* ყველა შესაბამის მხარეს, განიხილონ გზები კონფლიქტის პრევენციასა და მოგვარებაში, მათ შორის სამშვიდობო შეთანხმებების შესახებ მოლაპარაკებების წარმოებასა და მათ განხორციელებაში ახალგაზრდების ინკლუზიური წარმომადგენლობის გაზრდისთვის, გაითვალისწინონ მათი მიზანმიმართული მონაწილეობა და შეხედულებები, აღიარებს რა, რომ ახალგაზრდების მარგინალიზაცია საზიანოა მდგრადი მშვიდობის დამყარებისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან (რომელიც და როდესაც ხელს უწყობს ტერორიზმს) ბრძოლისთვის;

„3. *აღიარებს* იმ როლს, რომლის შესრულებაც ახალგაზრდებს კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებაში შეუძლიათ;

„4. *კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას* უშიშროების საბჭოს მისიების მნიშვნელობაზე ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალგაზრდების ადგილობრივ და საერთაშორისო ჯგუფებთან კონსულტაციების გამართვით;

„5. *მოუწოდებს* შეიარაღებული კონფლიქტების ყველა მხარეს, ზედმიწევნით შეასრულონ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მათი ვალდებულებები, რომლებიც სამოქალაქო პირების, მათ შორის ახალგაზრდების,

დაცვას ეხება, ასევე ვალდებულებები, რომლებიც მათ ქენევის 1949 წლის კონვენციებითა და ამ კონვენციების 1977 წლის დამატებითი ოქმებით ეკისრებათ, ასევე, მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობაში განახორციელონ იმგვარი კონკრეტული ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციაში სამოქალაქო პირების, მათ შორის ახალგაზრდების, დაცვას;

„6. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, შეასრულონ დამნაშავეთა დაუსჯელობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ვალდებულებები, ასევე მოუწოდებს მათ, გამოიძიონ და პასუხისგებაში მისცენ ის ადამიანები, ვინც გენოციდის, კაცობრიობის წინაშე დანაშაულის, ომის დანაშაულისა და სამოქალაქო პირების, მათ შორის ახალგაზრდების, წინააღმდეგ დანაშაულების ჩადენაზე არიან პასუხისმგებლები;

„7. კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ, ხელი შეუწყონ და დაიცვან ყველა ადამიანის, მათ შორის ახალგაზრდების, უფლებები მათ ტერიტორიებზე და მათ იურისდიქციაში, როგორც ამას საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს და ადასტურებს, რომ თითოეულ სახელმწიფოს აკისრია უპირველესი პასუხისმგებლობა, დაიცვას თავისი მოსახლეობა გენოციდის, ომის დანაშაულის, ეთნიკური წმენდისა და კაცობრიობის წინაშე დანაშაულისგან;

„8. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, დაიცვან ახალგაზრდები შეიარაღებული კონფლიქტების დროს ძალადობისგან, ასევე, მოუწოდებს ყველა მხარეს, სექსუალური და გენდერული ძალადობის ყველა ფორმისა და ადამიანებით ვაჭრობის აღმოფხვრისკენ;

„9. აღიარებს ახალგაზრდების როლს მშვიდობისა და შემწყნარებლობის კულტურის დამკვიდრებასა და რელიგიებს შორის იმგვარი დიალოგის ხელშეწყობაში რომელიც მიზნად ისახავს ძალადობის, ტერორიზმის, ქსენოფობიისა და ყოველგვარი დისკრიმინაციის აქტებში ახალგაზრდების მონაწილეობის თავიდან აცილებას და იმეორებს, რომ ტერორისტების პროპაგანდის საწინააღმდეგო მცდელობებს სარგებლობის მოტანა შეუძლია, თუ მათში მრავალი სხვადასხვა მხარე ჩაებმება, მათ შორის ახალგაზრდები და სამოქალაქო საზოგადოება ახალგაზრდების ხელმძღვანელობით;

„10. აღიარებს, რომ ახალგაზრდებსა და სამოქალაქო საზოგადოებას ახალგაზრდების ხელმძღვანელობით მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების მცდელობებში მნიშვნელოვანი როლის შესრულების უნარი შესწევთ;

„11. კიდევ ერთხელ ადასტურებს სახელმწიფოთა ვალდებულებას, პატივი სცენ, ხელი შეუწყონ და დაიცვან ყველა ადამიანის, მათ შორის ახალგაზრდების, უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, უზრუნველყონ მართლმსაჯულებაზე თანასწორი წვდომა ყველა ადამიანისთვის და სამართადაცავი და კანონის აღსრულების სფეროში მოქმედი სხვა დაწესებულებების წესიერება და პატიოსნება; ხელი შეუწყონ მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ახალგაზრდებისთვის ხელშემწყობი და უსაფრთხო გარემოს არსებობას;

„12. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, დაიცვან საგანმანათლებლო დაწესებულებები და აქციონ ისინი ადგილებად, სადაც არ იქნება არავითარი ძალადობა, უზრუნველყონ, რომ ისინი ხელმისაწვდომი იყოს ყველა ახალგაზრდისთვის, მათ შორის მარგინალიზებულთათვის და გაატარონ ზომები, რათა ახალგაზრდა ქალებმა განათლებაზე წვდომის უფლებით კაცების თანასწორად ისარგებლონ;

„13. ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდებზე მიმართული იმგვარი პოლიტიკების ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე, რომლებიც პოზიტიურ წვლილს შეიტანდა სამშვიდობო მცდელობებში, ასევე, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში, მხარს დაუჭერდა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობ პროექტებს და უზრუნველყოფდა ახალგაზრდებისთვის დასაქმების შესაძლებლობებსა და პროფესიულ სწავლებას, ხელს შეუწყობდა მათ განათლებას, მეწარმეობასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში კონსტრუქციულ მონაწილეობას;

„14. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, დაფიქრდნენ, თუ რამდენად ითვალისწინებს მათი პოლიტიკური, ფინანსური, ტექნიკური და ლოგისტიკური დახმარება კონფლიქტის დროსა და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში ახალგაზრდების საჭიროებებსა და სამშვიდობო საქმიანობაში მათ მონაწილეობას;

„15. რეკომენდაციას უწევს სამშვიდობო კომისიას, მის დისკუსიებსა და რჩევებში ჩართოს მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების ეროვნულ მცდელობებში ახალგაზრდების მიზანმიმართული მონაწილეობის გზები;

„16. მოუწოდებს გენერალურ მდივანსა და მის საგანგებო წარმომადგენლებს, გაითვალისწინონ ახალგაზრდების შეხედულებები მშვიდობის დამყარებისა და უსაფრთხოების ასევე სამშვიდობო მცდელობებისა და მშვიდობის შენარჩუნების საკითხებთან დაკავშირებულ დისკუსიებში და ხელი შეუწყონ ახალგაზრდების სხვებთან თანასწორ და სრულ მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღების

პროცესებში, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ ახალგაზრდა ქალების მონაწილეობაზე;

„17. ასევე, მოუწოდებს შესაბამის რეგიონულ და ქვერეგიონულ უწყებებს, კონკრეტულად განიხილონ ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა პოლიტიკისა და პროგრამების ჩამოყალიბებისა და განხორციელების საკითხი, ხელი შეუწყონ მათ კონსტრუქციულ მონაწილეობას აღნიშნულ პროცესებში;

„18. გამოთქვამს განზრახვას, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს სამოქალაქო საზოგადოება, მათ შორის ის ორგანიზაციები, რომლებსაც ახალგაზრდები ხელმძღვანელობენ, რათა მათ საბჭოს ქვეყნისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ საკითხებსა და შესაბამის თემებზე მიაწოდონ ინფორმაცია;

„19. მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის უწყებებს, მომხსენებლებსა და გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენლებს, მათ შორის გენერალური მდივნის წარმომადგენელს ახალგაზრდების საკითხებზე, გააუმჯობესონ მათ შორის კოორდინაცია და ურთიერთქმედება შეიარაღებული კონფლიქტების დროსა და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში ახალგაზრდების საჭიროებებთან დაკავშირებით;

„20. სთხოვს გენერალურ მდივანს, საჭიროების შემთხვევაში, უშიშროების საბჭოსადმი თავის ანგარიშებში ჩართოს სამშვიდობო პროცესებში, მათ შორის განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესებსა და ისეთ ურთიერთდაკავშირებულ პროგრამებში, როგორებიცაა ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართული სათემო პროგრამები, ახალგაზრდების მონაწილეობის მხრივ მიღწეული პროგრესის შესახებ ინფორმაცია;

„21. რეკომენდაციას უწევს გენერალურ მდივანს, განიხილოს შიდა მექანიზმები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში ახალგაზრდების ჩართვის გასაფართოებლად;

„22. სთხოვს გენერალურ მდივანს, არა უგვიანეს 2020 წლის მაისისა წარმოუდგინოს საბჭოს ანგარიში წინამდებარე რეზოლუციისა და №2250 (2015) რეზოლუციის განხორციელების შესახებ;

„23. იღებს გადაწყვეტილებას, გააგრძელოს ამ საკითხზე მუშაობა.“